

ESG საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების შაბლონი

ორგანიზაციის სახელწოდება:

თარიღი:

აღნიშნული შაბლონი საქართველოს ეროვნული ბანკის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხების ანგარიშგებისა და გამჟღავნების შესახებ პრინციპების დანართს წარმოადგენს. ESG პრინციპები და თანდართული შაბლონი ძირითადად შექმნილია იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს კომერციულ ბანკებს გაამჟღავნონ ESG-თან დაკავშირებული ინფორმაცია თანმიმდევრული, თავსებადი და შედარებადი ფორმით. ამასთან, სებ-ი ასევე მოუწოდებს სხვა ტიპის ფინანსური ინსტიტუტებსა და არაფინანსური სექტორის სუბიექტებს გაამჟღავნონ ESG-ს შესახებ ინფორმაცია და ამისთვის აღნიშნული პრინციპებით და შაბლონით იხელმძღვანელონ.

გთხოვთ, წარმოადგინოთ ESG საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაცია სუბიექტის 1. ბიზნეს მოდელის; 2. პოლიტიკისა და დიუ დილიჯენსის; 3. შედეგების; 4. რისკებისა და მენეჯმენტის შესახებ და შეავსოთ KPI-ს ფორმა შესაბამის გვერდებზე. ფორმა უნდა შეიცავდეს ეროვნული ბანკის ESG ანგარიშგებისა და გამჟღავნების პრინციპების შესაბამისად. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარმოდგენილი კითხვები არ არის ამომწურავი და ზოგად მითითებებს წარმოადგენს. შევსების შემდეგ აღნიშნული ფორმა პილარ 3-ის წლიური ანგარიშგების ფორმას უნდა დაერთოს. თუ ანგარიშის წარმოდგენ სუბიექტს პილარ 3-ის მოთხოვნები არ ეხება, მაშინ სუბიექტი შევსებულ ფორმას პირდაპირ ეროვნულ ბანკს მიაწვდის. ყველა შევსებული შაბლონი ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდება. სუბიექტმა ESG საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშგება სულ მცირე წელიწადში ერთხელ უნდა წარმოადგინოს.

კითხვების შემთხვევაში ან დამატებითი ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ: Mariam.Kharaisvili@nbg.gov.ge

ინფორმაციის გამჟღავნება ბიზნეს მოდელის შ

გთხოვთ შეავსოთ ESG-სთან დაკავშირებული ინფორმაცია სუ
პრინციპების შესაბამისად. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ეს

შეითხვა

აღწერეთ თუ როგორ აფასებს სუბიექტი საინვესტიციო და
სასესხო პორტფელის ESG რისკებისა და შესაძლებლობების
გავლენას ბიზნეს მოდელზე, სტრატეგიასა და ფინანსურ
დაგეგმვაზე.

აღწერეთ, სუბიექტი თუ შეისწავლის მისი პარტნიორები
ახდენენ თუ არა ESG რისკებისა და შესაძლებლობების
დაზიანების რისკებს.

აღწერეთ თუ როგორ ახორციელებს სუბიექტი ESG რისკებისა
და შესაძლებლობების შესაბამის საინვესტიციო და
დაკრედიტების სტრატეგიებში ინტეგრირებას.

აღწერეთ თუ როგორი ზეგავლენა შეიძლება იქონიოს
დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლამ საინვესტიციო და
დაკრედიტების სტრატეგიებზე.

აღწერეთ ის არხები, რომლებითაც შეიძლება სუბიექტის
ბიზნეს მოდელმა გავლენა იქონიოს, როგორც დადებითი
ისევე უარყოფითი კუთხით, გარემოსა და საზოგადოებაზე.

აღწერეთ შესაძლებლობები, რომლებიც დაკავშირებულია
რესურსების ეფექტიანი გამოყენებასთან, ხარჯების
შემცირებასთან, დაბალი ემისიის/ნაკლებად
დამაბინძურებელ ენერჯის წყაროებზე გადასვლასთან,
ახალი პროდუქტებისა და მომსახურების განვითარებასთან,
ახალი ბაზრების ათვისებასთან და ღირებულების შექმნის
ყველა რგოლზე მდგრადობის უზრუნველყოფასთან.

სხვა შესაბამისი ინფორმაცია

ესაზებ

ბიუჯეტის ბიზნეს მოდელის შესახებ ქვემოთ. ფორმა სასურველია შეივსოს ეროვნული ბანკის ESG ანგარიშგებისა და გამოყენების ვებგვერდით მოცემული კითხვები არ არის ამომწურავი და ზოგად მითითებებს წარმოადგენს.

პასუხი	დამატებითი კომენტარები
<p>ლიბერთი ბანკს გააჩნია ESG პოლიტიკის დოკუმენტი 2021 წლის დეკემბრის თვიდან და შესაბამისი ESG საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკები ნოვატორული საკითხებია ჩვენთვის და დღეისმდგომარეობით არსებული მოთხოვნებისა და გამოწვევების საპასუხოდ, ლიბერთი ბანკი 2023-2024 წლის კრილში და შემდგომ სამომავლო წლების სტრატეგიაში გეგმავს ESG საკითხების გათვალისწინებას, ამ კუთხით გვეგმავთ ბიზნეს პორტფელის მოდერნიზებასა და მსგავსი სესხების გაიქმნა შესაბამისი ადგილის დაკავებას.</p>	<p>პორტფელური რისკების მართვის განყოფილება დაარსდა 2022 წლის იანვარში, შესაბამისად ESG საკითხების გათვალისწინება იგეგმება 2023-2024 წლიდან</p>
<p>დღეისმდგომარეობით ლიბერთი ბანკი არ შეისწავლის პარტნიორების მიერ ESG რისკების მართვის საკითხებს.</p>	<p>–</p>
<p>როგორც ზემოთაღნიშნა, ლიბერთი ბანკმა 2022 წელს დაიწყო ESG რისკებისა და შესაძლებლობების მოკვლევა/გათვალისწინებას დაკრედიტებისა და საინვესტიციო სტრატეგიაში, დაგეგმილია ამ კუთხით საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მოზიდვაც</p>	<p>–</p>
<p>დაბალი ემისიის ეკონომიკაზე გადასვლა გულისხმობს ე.წ. Environmental Friendly საქმიანობის განმახორციელებლობის მოზიდვას და დაკრედიტებას, რაც ვეფიქრობთ დადებით ეფექტს მოახდენს, როგორც რეპუტაციულ ასევე სტრატეგიულ მიზნებზე.</p>	<p>–</p>
<p>ბანკი გეგმავს ბიზნესზე მნიშვნელოვანი პოტენციური დადებითი და უარყოფითი გავლენების მუდმივ ანალიზს, რომელიც გათვალისწინებს ბანკის ბიზნეს მოდელს, მის მომსახურების მოცულობას და მასშტაბებს, შემოსავალს გეოგრაფიის მიხედვით და ა.შ. აღნიშნული ანალიზის საწყისი ეტაპი არის ESG-ის მნიშვნელოვანი საკითხების გაზრება დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის მომხმარებლებისა და კლიენტების, კოლეგების, საზოგადოებისა და ინვესტორებისთვის. ბანკი ყურადღებას გაამახვილებს შემდეგ სფეროებზე: დაფინანსების სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა კლიმატის ცვლილების ჩათვლით და ფინანსური პროდუქტების ხელმისაწვდომობა და გამჭვირვალობა. ლიბერთი ბანკი აცნობიერებს, რომ პასუხისმგებელი პატივი სცეს ადამიანის უფლებებს როგორც პირდაპირი ოპერაციების დროს, ასევე დაფინანსებისა და შესყიდვების პრაქტიკაში; ლიბერთი ბანკს უკვე ჰყავს შესაბამისი პასუხისმგებელი პირი ESG საკითხებზე, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ბანკის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან, ხსენებული საკითხების ოპერირების სისტემაში იმპლემენტაციის კუთხით.</p>	<p>–</p>
<p>მოცემულ სიტუაციაში ლიბერთი ბანკისთვის მდგრადი ბიზნესების დაფინანსების ნაწილში ერთ-ერთი შესაძლებლობა საერთაშორისო ინსტიტუტების თანადაფინანსების პროექტებია, რომლებიც საშუალებაც მოგვცემს გარემოსდაცვითი ან/და სოციალური კუთხით არსებული/დაგეგმილი პროექტები დაფინანსოთ შედეგითა და პირობებში, ეს უკანასკნელი კი საბოლოო ჯამში მოემსახურება ეროვნულ დონეზე არსებული გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუმჯობესებასა და ამ კუთხით ცნობიერების ამაღლებას. გარდა აღნიშნულისა, ხსენებული კონტენტის დაფინანსება დადებით ზეგავლენას მოახდენს ბანკის რეპუტაციულ ნაწილზე. დღეისმდგომარეობით სს "ლიბერთი ბანკი" - სსიპ "აწარმოე საქართველოსთან" და მსოფლიო ბანკთან ერთად, უზრუნველყოფს ისეთი კლიენტების დაკრედიტებას, რომლებიც ეწევიან დაბალ რისკიან გარემოსდაცვით საქმიანობებს, რომლებიც არასდროს ყოფილან დაჯარიმებულნი გარემოსდაცვითი კუთხით და რომელთა სამუშაო არაელიც არ მდებარეობს რაიმე ღირებულების (დაცული ტერიტორია, ადკვეთილი, ზურმუხტი და ა.შ.) ტერიტორიაზე ან/და სიახლოვეში.</p>	<p>–</p>
<p>–</p>	<p>–</p>


პოლიტიკისა და დიუ დილიჯენსის (Due Diligence)

გთხოვთ შეავსოთ ESG-სთან დაკავშირებული ინფორმაცია სტრატეგიული მენეჯმენტის დოკუმენტის **ეროვნული ბანკის ESG ანგარიშების** კითხვები არ არის ამომწურავი და ზოგად მითითებებს წარმოადგენს.

შეკითხვა
აღწერეთ სუბიექტის პოლიტიკა, რომელიც ESG საკითხებთან არის დაკავშირებული.
აღწერეთ ESG საკითხებთან დაკავშირებული სამიზნე მაჩვენებლები, რომელიც სუბიექტმა თავისი პოლიტიკის ფარგლებში განსაზღვრა.
აღწერეთ თუ როგორ ახორციელებს ESG საკითხების მართვის ზედამხედველობას სუბიექტის აღმასრულებელი ოფიცერი, დირექტორთა საბჭო ან უმაღლესი მმართველობითი ორგანო.
აღწერეთ თუ როგორ უზრუნველყოფს სუბიექტი საკითხებთან დაკავშირებული რისკების უკეთესი გამჭვირვებებისა და პროცედურების დანერგვას მონაცემთა ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად. ასევე, აღწერეთ სუბიექტის ნებისმიერი ქმედება, რომელიც ემსახურება კლიენტების ცნობადობის ამაღლებას საკრედიტო და საინვესტიციო პოტენციალში.
აღწერეთ, თუ როგორ გაითვალისწინება სუბიექტის საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ESG-სთან დაკავშირებული საკითხები, როგორც ღირებულების შემქმნელი.
აღწერეთ, თუ როგორ ახორციელებს სუბიექტი ESG ასპექტების ყოველდღიურ პროცესებში ინტეგრირებას.
აღწერეთ სუბიექტის მიდგომა დიუ დილიჯენსის მიმართ (მათ შორის პროექტების დონეზე) და ასევე ნებისმიერი სტანდარტი ან გზამკვლევი, რომლითაც სუბიექტი ამ პროცესში ხელმძღვანელობს.
სხვა შესაბამისი ინფორმაცია

ence) პროცესების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება

ებეტის პოლიტიკისა და დიუ დილიჯენსის (due diligence) პროცესების შესახებ ქვემოთ ფორმა და გამჟღავნების პრინციპების შესაბამისად, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ქვემოთ მოცემული ადგენს.

პასუხი	დამატებითი კომენტარები
<p>ლიბერთი ბანკი ხელმძღვანელობს 2021 წლის 17 დეკემბრის №278/319 ოქმით დამტკიცებული ESG პოლიტიკის დოკუმენტით, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას: ლიბერთის შიდა ESG საკითხებთან დაკავშირებული პრინციპებისა და დანერგული პროცედურების შესახებ, დაკრძალვის პროცესში ESG რისკების კატეგორიზაციისა და მათი შეფასება-მართვის საკითხებს, სტრუქტურის დონეზე პასუხისმგებლობების შესახებ ინფორმაციას, გარდა ამისა, პოლიტიკის დოკუმენტში გათვალისწინებული კლიენტების პერიოდული შემოწმებისა და შესაბამისი მონიტორინგის ჩატარების საკითხებიც. ლიბერთი ბანკის ESG პოლიტიკა ეფუძნება საერთაშორისო IFC სტანდარტებს</p>	-
<p>ESG რისკების შეფასება ხორციელდება დაკრძალვის პროცესის საწყის საფეხურზე, რაც გულისხმობს ამათუიმ პროექტისთვის შესაბამისი ESG კატეგორიის მინიჭებას (საქმიანობის სფეროზე დაყრდნობით), იმ შემთხვევაში თუ გამოიკვეთა კლიენტის მნიშვნელოვანი გავლენა გარემოზე, პროცესი გრძელდება სესხის მთელ სასიცოცხლო ციკლზე, კერძოდ ტარდება ე.წ. DUE DILIGENCE, რომლის ფარგლებშიც ვიზუალური აუდიტის შედეგად ფასდება გარემოს სხვადასხვა კომპონენტზე ზეგავლენის მასშტაბები და კლიენტს განესაზღვრება დამატებითი გარემოსდაცვითი, შრომის უსაფრთხოებისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული შემარბილებელი ღონისძიებები, გარდა აღნიშნულისა, ზემოხსენებული ტიპის კლიენტები ვალდებული არიან წლიურადმი ერთხელ ლიბერთის წარუდგინონ E&S MONITORING REPORT-ი, რაც ემსახურება გარემოზე ზემოქმედების მქონე კლიენტების პერმანენტული კონტროლის მექანიზმის ეფექტური მუშაობის მიზნებს.</p>	-
	-
<p>იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული ESG პოლიტიკის დოკუმენტი მიღებიდან დღემდე მიმდინარეობს მისი სრულყოფილი იმპლემენტაციის ხელშეწყობის პროცესები, განხორციელდა ლიბერთი ბანკის ვებ-საიტის კორექტირება და მოხდა მასში გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინება, ჩატარდა შიდა ტრენინგები ESG საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით და მომავალშიც დაგეგმილია მსგავსი აქტივობებიც.</p>	-
<p>პოლიტიკის თანახმად, არსებობს ESG რისკის სამი კრიტერიუმი, LOW, MEDIUM & HIGH, შესაბამისად არსებობს სპეციფიკური სიები, სადაც ჩამოთვლილია თითოეული კრიტერიუმის მინიჭების საფუძვლები და კონკრეტული საქმიანობები, მაგალითისთვის, თუ კლიენტს მიენიჭება HIGH სტატუსი, გრძელდება DUE DILIGENCE პროცედურა და ბანკის მხრიდან კონტროლდება წლიურ და რიგ შემთხვევებში კვარტალურ კრილიში, გარდა ამისა ხელშეკრულების დანართი ხდება DUE DILIGENCE-ისა და SITE VISIT-ის პროცესში გამოკვეთილი დარღვევების სანაცვლოდ გასატარებელი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები ე.წ. ENVIRONMENTAL AND SOCIAL ACTION PLAN, თუ კლიენტს მიენიჭება MEDIUM სტატუსი, მას ხელშეკრულებით ეკისრება გარემოსდაცვითი, შრომის უსაფრთხოებისა და სოციალური კანონმდებლობის სრულყოფილად შესრულების ვალდებულება. LOW კლიენტების შემთხვევაში კი, გადაწყვეტილების მიღებამდე იწარმოება მათი რისკების შეფასება (რაც ხშირ შემთხვევაში არ არის ხოლმე დაკავშირებული რაიმე სახის ზიანთან)</p>	-
<p>ყოველდღიურ პროცესებში ESG საკითხების ინტეგრირება ხდება შემდგენიარად, თითოეული სესხის დაკრძალვის პროცესში ფასდება კლიენტის ESG რისკები. ლიბერთი ბანკი უწყვეტ რეჟიმში ეკონტაქტება პარტნიორ IF-ებს, არსებული პრაქტიკების გაუმჯობესების მიზნით, ასევე ივსებება ამ კუთხით - საინფორმაციო, საკონსულტაციო და სატრენინგო შეხვედრები მათთან</p>	-
<p>ლიბერთი ბანკი ხელმძღვანელობს IFC სტანდარტებით, პოლიტიკის თანახმად, არსებობს ESG რისკის სამი კრიტერიუმი, LOW, MEDIUM & HIGH, შესაბამისად არსებობს სპეციფიკური სიები, სადაც ჩამოთვლილია თითოეული კრიტერიუმის მინიჭების საფუძვლები და კონკრეტული საქმიანობები, მაგალითისთვის, თუ კლიენტს მიენიჭება HIGH სტატუსი, გრძელდება DUE DILIGENCE პროცედურა და ბანკის მხრიდან კონტროლდება წლიურ და რიგ შემთხვევებში კვარტალურ კრილიში, გარდა ამისა ხელშეკრულების დანართი ხდება DUE DILIGENCE-ისა და SITE VISIT-ის პროცესში გამოკვეთილი დარღვევების სანაცვლოდ გასატარებელი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები ე.წ. ENVIRONMENTAL AND SOCIAL ACTION PLAN, თუ კლიენტს მიენიჭება MEDIUM სტატუსი, მას ხელშეკრულებით ეკისრება გარემოსდაცვითი, შრომის უსაფრთხოებისა და სოციალური კანონმდებლობის სრულყოფილად შესრულების ვალდებულება. LOW კლიენტების შემთხვევაში კი, გადაწყვეტილების მიღებამდე იწარმოება მათი რისკების შეფასება (რაც ხშირ შემთხვევაში არ არის ხოლმე დაკავშირებული რაიმე სახის ზიანთან)</p>	-
-	-

შედეგებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემა

გთხოვთ შეავსოთ ESG-სთან დაკავშირებული ინფორმაცია სტრატეგიის, ანგარიშგებისა და გამწვანების პრინციპების შესაბამისად. გთხოვთ მითითებებს წარმოადგინოთ.

შეკითხვა

აღწერეთ სუბიექტის ESG პოლიტიკის შედეგები. მათ შორის, დაახასიათეთ თუ როგორ შეესაბამება შედეგები სუბიექტის მიერ ESG რისკებისა და შესაძლებლობების მართვისთვის დასახულ სამიზნე მაჩვენებლებსა და ინდიკატორებს.

აღწერეთ დროთა განმავლობაში ESG-სთან დაკავშირებული აქტივების მოცულობის ტენდენცია შესაბამის მიზნობრივ მაჩვენებელთან და ESG რისკებთან მიმართებით.

სხვა შესაბამისი ინფორმაცია

ამჟღავნება

უბიექტის შედეგების შესახებ ქვემოთ. ფორმა სასურველია შეივსოს ეროვნული ბანკის ESG თხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ქვემოთ მოცემული კითხვები არ არის ამომწურავი და ზოგად

პასუხი	დამატებითი კომენტარები
<p>ლიბერთი ბანკის ESG პოლიტიკა სრულად პასუხობს ბანკის შესაძლებლობებს, აქ უნდა აღინიშნოს ფაქტი, რომ ESG პოლიტიკის მიღებიდან-დღემდე ბანკში მიმდინარეობს, ამ უკანასკნელის იმპლემენტაციისა და ზოგადად პროცესების მეტად დახვეწის პროცედურები. ხსენებული მიზნის უკეთ შესრულების მიზნით, დღეისმდგომარეობით ლიბერთი ბანკის დაკრედიტების პროცესი სრულად აგებულია NACE კოდებზე, რაც კიდევ უფრო მოხერხებული საშუალებაა გარემოსდაცვითი რისკების დროულად დაფიქსირების თვალსაზრისით. აქვე უნდა აღინიშნოს ფაქტი - მწვანე ტაქსონომიის თაობაზე, ამ კუთხითაც, ბანკი შეუერთდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნას და თვიურ ჭრილში აწარმოებს მიმდინარე თვეში გაცემული ე.წ. "მწვანე ტაქსონომიის" ჩამონათვალში მოხვედრილი სესხების რეპორტირებს.</p>	
<p>2021 წლიდან დღემდე, ბანკში უკვე არსებობს ESG რისკებზე პასუხისმგებელი პირი, შესაბამისი ESG პოლიტიკა და ასეთი რისკების მართვის პროცედურები, ენერგოეფექტურობის უზრუნველსაყოფად ოფისების მასშტაბით შემცირდა პრინტერები, ეს უკანასკნელი ასევე ემსახურება კარტრიჯების ტონერების წარმოქმნის მინიმიზაციას, ლიბერთიში 26-28.04.2022 პერიოდში ჩატარა გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ტრენინგები, კომპანია მაქსიმალურად ცდილობს გააფიცრულოს პროცესები, რაც ასევე ხელს უწყობს ქაღალდის ნარჩენების წარმოქმნის მინიმიზაციას, გარდა აღნიშნულისა ლიბერთი ბანკის მასშტაბით 99% გამოიყენება ენერგოეფექტური ნათურები, ნაცვლად ფლურესცენციული მილემისა, რაც ასევე პასუხობს ნარჩენების მართვის პრინციპებსა და გამოწვევებს.</p>	-
-	

ინფორმაციის გამჟღავნება ძირითადი რისკებისა და მენეჯმენტის შესახებ

გთხოვთ შეავსოთ ESG-სთან დაკავშირებული ინფორმაცია სუბიექტის ძირითადი რისკებისა და მენეჯმენტის შესახებ ქვემოთ. ფორმა სასურველია შევსოს ერთდროულად მანკის ESG ანგარიშებისა და გამჟღავნების პრინციპების შესაბამისად. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ქვემოთ მოცემული კითხვები არ არის ამოწურავი და ზოგად მითითებებს წარმოადგენს.

შეკითხვა	პასუხი	დამატებითი კომენტარები
აღწერეთ პროცესები თუ როგორ ახორციელებს სუბიექტი ESG რისკების გამოვლენასა და შეფასებას მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდისთვის. ასევე, წარმოადგინეთ თუ როგორ განმარტავს სუბიექტი მოკლე, საშუალო და გრძელვადიან პერიოდს.	ESG რისკების მართვა ხორციელდება მანკის პოლიტიკისა და პროცედურების, დღეგებრებული უფლებამოსილების შესაბამისად. რისკების დეპარტამენტი და დირექტორთა საბჭო, პასუხისმგებელია მანკის რისკების მართვასა და შიდა კონტროლის სისტემებზე.	
აღწერეთ ძირითადი ESG რისკები, რომლებიც სუბიექტმა მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდისთვის გამოავლინა. ასევე, აღწერეთ ის დაშვებები, რომლებიც ამ რისკების გამოვლენისას იქნა გამოყენებული.	ლიბერტი მანკის ESG პოლიტიკის დოკუმენტში გამოვლენილია შემდეგი სახის რისკები: პასუხისმგებლობის, ფინანსური, რეპუტაციული, საკრედიტო და მარკეტინგის, ფინანსური, საშუალო პერიოდის რისკები, პასუხისმგებლობის, ფინანსური, საშუალო პერიოდის რისკები რეპუტაციული და საკრედიტო, ასევე გრძელვადიანი მართვით დაკავშირებული რისკები	
აღწერეთ ESG რისკების მართვის ზოგადი პროცესები და ასევე, თუ როგორ ახორციელებს სუბიექტი გამოვლენილი კონკრეტული ESG რისკების მართვას.	ზემოაღნიშნული რისკები დარეგულირებულია ESG რისკების შეფასების პროცედურით, პროცედურის სრულყოფილად იმპლემენტაციის შემთხვევაში, მაქსიმალურად დაზღვეულია რისკით გათვალისწინებული შედეგის დადგომა	
აღწერეთ როგორ არის ESG რისკების გამოვლენის, შეფასებისა და მართვის პროცესები ინტეგრირებული სუბიექტის ერთიანი რისკების მართვის სისტემაში.	ლიბერტი მანკი ხელმძღვანელობს IFC სტანდარტებით, პოლიტიკის თანახმად, არსებობს ESG რისკის სამი კრიტერიუმი, LOW, MEDIUM & HIGH, შესაბამისად არსებობს სპეციფიკური სიები, სადაც ჩამოთვლილია თითოეული კრიტერიუმის მინიჭების საფუძვლები და კონკრეტული საქმიანობები, მაგალითისთვის, თუ კლიენტს მიენიჭება HIGH სტატუსი, გრძელდება DUE DILIGENCE პროცედურა და მანკის მხრიდან კონტროლდება წლიურ და რიგ შემთხვევაში კვარტალურ კრილიში, გარდა ამისა ხელშეკრულების დანართი ხდება DUE DILIGENCE-ისა და SITE VISIT-ის პროცესში გამოკვეთილი დარღვევების სანაცვლოდ გასატარებელი შემარბილებელი ან/და საკომპენსაციო ღონისძიებები ექ. ENVIRONMENTAL AND SOCIAL ACTION PLAN, თუ კლიენტს მიენიჭება MEDIUM სტატუსი, მას ხელშეკრულებით ევისება გარემოსდაცვითი, შრომის უსაფრთხოებისა და სოციალური კანონმდებლობის სრულყოფილად შესრულების ვალდებულება. LOW კლიენტების შემთხვევაში კი, გადაწყვეტილების მიღებამდე იწარმოება მათი რისკების შეფასება (რაც ხშირ შემთხვევაში არ არის ხოლმე დაკავშირებული რაიმე სახის ზიანთან). ზემოთაღწერილი პროცესი იწარმოება ელექტრონულ სისტემაშივე, ნაწილობრივ ავტომატიზირებული სისტემის მეშვეობით. კერძოდ, სესხის გაცემა პროცესში ცალკე იყვება ESG ატრიბუტი, რომელიც გადმოდის ოქმში.	
აღწერეთ, როგორ აფასებს სუბიექტი ფინანსური და არაფინანსური აქტივების ESG რისკებზე დამოკიდებულებას.	ფინანსურ აქტივებზე რისკების შეფასება ხორციელდება ლიბერტი მანკის ESG პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად, კერძოდ დაკრედიტების პროცესში ხდება გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკების შეფასება/გათვალისწინება, რაც შეეხება არაფინანსურ/არამატერიალურ აქტივებს 2023-24 წელი ვეფირობით გარდამტეხი იქნება ამ კუთხით, გამოიმდინარე იქიდან, რომ ESG საკითხების დაკრედიტების პროცესში გათვალისწინება, ამ კუთხით შიდა და გარე ცნობიერების ამაღლების ტრენინგების ჩატარება, სხვა "შეჯანგ" აქტივობების განხორციელება ვეფირობით, არაფინანსურ აქტივებზე დადებით ზეგავლენას იქონიებს.	
დაახასიათეთ ESG რისკები ტრადიციული რისკების კატეგორიების კონტექსტში, როგორცაა საკრედიტო რისკი, საზარხო რისკი და საოპერაციო რისკი.	საკრედიტო რისკი - დგება იმ შემთხვევაში თუ კლიენტს ექნება გაუთვალისწინებელი ფინანსური ხარჯი გარემოსდაცვითი მდგომარეობის გაუარესების გამო, ამ უკანასკნელის გამოსწორების ან/და ამ კუთხით სახელმწიფო ორგანოს მიერ ჯარიმის, წესდართვის გაუქმების ან/და სხვა წარმომიბილი სიტუაციიდან გამომდინარე, საზარხო რისკი - რომ განვიხილოთ უზრავი ქონების უზრუნველყოფილ სესხიან დაკავშირებული საზარხო რისკი - იმ შემთხვევაში, თუ დაზიანებულად ტერიტორია საზიფათო ნარჩენებით, ეს გამოიწვევს საზარხო ღირებულების დაკარგვას. საოპერაციო რისკი - მანკი მუდმივად აუზრუნველსებს ელექტრონული მიმართულებით პროცესებს, საოპერაციო რისკების სტანდარტების დაცვით, რათა შეამციროს ფურცლობრივი დოკუმენტაცია რაც გარემოსდაცვით ინტერესებსაც ემსახურება.	
აღწერეთ გირავის რა მოცულობა განსაკუთრებით მაღალი ESG რისკების მატარებელი.	ამჟამად მანკი არ ახდენს აღნიშნული ინფორმაციის აღრიცხვას, თუმცა იტეგება მსგავსი რისკების შეფასების პრაქტიკის დანერგვა.	
სხვა შესაბამისი ინფორმაცია	-	

